



გაღვივებული თავისუფალი თავის უფალია

ელენე ისევ ეპროვლიტაშია

17 წლის ელენე გედევანიშვილმა ზაგრებში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ადგილი დაიკავა. მოკლე პროგრამის შემდეგ ელენე მე-8 იყო 53,43 ქულით, თავისუფალი პროგრამა კი ისე შეასრულა, რომ წინა დღეს მასზე მოქირქილე რუს კომენტატორებს ხმა ჩააგდებინა. ისლა ამოღერდეს, ელენემ ხასიათის შესაშური სიმტკიცე გამოავლინაო.

აქამდე თავისუფალ პროგრამაში ქართველი მოციგურავის საუკეთესო შედეგი 87,36 ქულა იყო, გუმინწინ კი მსაჯებმა მისი უშეცდომო მართლაც და თავისუფალი სრიალი 93,66 ქულით შეაფასეს და ერთი ხანობა ამქრის თავში წამოასკუპეს. ელენეს 147,09 ქულით ლიდერობა ბოლო, მეხუთე ჯგუფის გამოსვლამდე გაგრძელდა, მერე კი პირველი დღის საუკეთესოებმა ელენეს გადაასწრეს და საბოლოოდ, როგორც ვთქვით, მე-7 ადგილს დააჯერეს.

წინადლით დაშვებული შეცდომები რომ არა, როდესაც ელენე ჯერ ნაიქცა, მერე კი ნაიბორძიკა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მოციგურავე ხუთეულში აუცილებლად მოხვდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშანწინ ელენემ ევროპის ჩემპიონატზე მე-5 ადგილი დაიკავა, შარშან კი მისი ოჯახის რუსეთიდან დეპორტაციის გამო ფორმიდან ამოვარდა და ოდენ მე-8 იყო, მაშინ წლებანდელი მე-7 ადგილი ელენეს ფიგურული სრიალის ელიტაში დაბრუნდებას უნდა ნიშნავდეს.

ევროპის ჩემპიონი კი იტალიელი კაროლინა კოსტენერი გახდა, რომელმაც მეთექვსმეტე ქულებით აჯობა შვეიცარიელ სარა მაიერს, ბრინჯაო ფინელმა ლაურა ლეპისტომ ირგუნა.


ბაჩო სვანიძე

თბილისო, გზის და ქიუდოს მხარეო ზაზა, ჩინეთშიც იყავ კედელა!



ნახეთ ლიპერკული, სასწაული, სიბიჟე, ნადდი სსოვრება და მეტიც რა გინდათ!

გოჩა თანდარაშვილის ინგლისური
საფეხბურთო მთაბეჭდილებები



ჯოკოვიჩი ნოვატია ნოვაკია მარია ჯადო მოსსნა

სტეფან ედბერგის მერე, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობა 22 წლის წინ ზუსტად 20 წლისამ მოიგო, ნოვაკ ჯოკოვიჩი ამ სლემტურნირის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. სერბი ჩოგბურთელი ედბერგზე 8 თვით უფროსი იყო ზეობის ფაშს. თუმცა ამას რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — მთავარი ხომ ჩემპიონობაა!

ერთი დღით ადრე კი ქალთა შეჯიბრი რუსმა მარია შარაპოვამ მოიგო და „ენინის ჯადო“ მოსსნა. ბოლო წლებში გზად პირველი ჩოგნის, უუსტინ ენინის მძლეველთაგან ჩემპიონობა ვერავის მოეგო.

გაღვივებული თავისუფალი თავის უფალია

ორის ნაცვლად ერთი ელიაგა ღვინიანიძე და მენტეზაფილი ჩაანაცვლა

საქართველოს ეროვნული ნაკრები 6 თებერვალს ამხანაგურ მატჩში ლატვიელებს უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტომპოლერმა 24-კაციანი სია კი გამოაქვეყნა, თუმც მასში კორექტივების შეტანა დასჭირდა. გერმანული „მიუნხენ 1860“-ის მცველ მათე ღვინიანიძეს მუხლი, ხოლო ლატვიური „ვენტსპილსის“ ნახევარმცველ ზურაბ მენტეზაფილს ბარძაგი გაუმიზეზდა და მათ ნაცვლად ტომპოლერმა რიგის „სკონტოს“ მცველ ზაალ ელიაგას უხმო. ნაკრები ელიაგასთვის უცხო არ არის, ერთია, მხრის ტრავმის გამო ბოლო მატჩებში ვერ დაეხმარა ეროვნულ გუნდს...

მიხეილ შოგოლიანი

გიორგი მაკარიძე: არს გუნდი და არს ნაკრები?



საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამო 2“-ის მეკარე გიორგი მაკარიძე ამას წინათ გვითხრა, ჩემი რამდენიმე გერმანული კლუბი დაინტერესდა და ერთ-ერთი მათგანი „ჰამბურგია“. მაკარიძეს გუშინ შევეხმიანეთ. მისი თქმით, ჯერ ახალი არაფერია: „რაც შეფერვება და ამ ეტაპზე, ალბათ, ვერ წავალ. ის კი არა, ერთი კვირა, არ მივარჯიშია, ფეხი მტკივა. 6 თებერვალს ლატვიასთან ჩემი თამაში საეჭვოა“.

ნუბრი ლოლაძე

ბერდიავს ნაკრები მოენონა

ყაზანის „რუბინის“ ქართველ მეკარე ნუბრი ბერდიავი გუნდში კონკურენცია არასდროს აკლდა, მით უფრო ახლა, როდესაც ტრავმის შემდეგ ვარჯიშები, ეს-ესაა, განახლა და კონკურენტებად კოხჩო და რიფიკოვი ჰყავს. ამის მიუხედავად, „რუბინის“ მწვრთნელი ყურბან ბერდიევი მის ჩამოწვას არ აპირებს და ეს იქაურ ჟურნალისტებსაც განუცხადა... „ძირითადად მოხვედრის შანსი ყველა მეკარეს აქვს. რაც შეეხება რევიზიას, მან ახლანაირად განახლა ვარჯიში და საქართველოს ნაკრებშიც მიიწვიეს. ეს ნიშნავს, რომ ის საჭიროა, როგორც ნაკრებისთვის, ასევე ჩვენთვის“ — აღნიშნა ბერდიევი.

მიხეილ შოგოლიანი

ბაბუნაშვილის გაემოსდა

ჯერჯერობით ისევ უცნობია, დარჩება თუ არა ლატვიურ „დინაბურგში“ შოთა ბაბუნაშვილი. ჩვენებურმა ქართველ მწვრთნელ თამაზ პერტაის გუნდში კიდევ ერთი მატჩი ითამაშა შეუცვლელად, თუმც მისი გუნდი 0:1 დამარცხდა ლიტუურ „ჟალგირისთან“. ლატვიური პრესის ცნობით, „დინაბურგში“ 12 ქართველი ისინჯება, თუმცა ფაქტია, მოედანზე ჯერ მხოლოდ ბაბუნაშვილს და სარეზერვო გუნდის წევრ ბაქარ გიორგაძეს ვხედავთ.

მიხეილ შოგოლიანი

სკონტოური საბაია

რიბის „სკონტოში“ გასინჯვაზე მყოფმა ელადიმერ დვალისვილმა კიდევ ერთ საკონტროლო მატჩში ითამაშა, თუმც ამჯერად უგოლოდ დამარცხდა და თან მხოლოდ ერთ ტაიმს დააჯერეს. „სკონტო“ 0:0-ზე გაეყარა ლიტუურ „სუდუვას“. ზაალ ელიაგამ და დავით გამეზარდაშვილმა სრულად ითამაშეს.

მიხეილ შოგოლიანი

სრული კარლსრუელი

ალექსანდრე იაშვილმა და „კარლსრუემ“ კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გამართეს, ამჯერად „მაინცთან“. თამაში 1:1 დასრულდა. მაინცელი ბოკაიემის გოლს „კარლსრუეს“ უნგრელმა ლეგიონერმა ჰაინალმა უპასუხა. ზედისხედ მეორე მატჩი ითამაშა იაშვილმა სრულად, თუმც არც გოლით და არც საგოლე პასით თავი არ გამოუჩენია.

მიხეილ შოგოლიანი

კოპის ბაზელთან 26 აპრილს

წინა ტესტ-მატჩებისგან განსხვავებით, ლევან კობიაშვილმა „შალკეში“ ოდენ 26 წუთი ითამაშა. „ხუმარებმა“ 1:0 მოუგეს შვეიცარიულ „ბაზელს“, ჩვენიანმა კი ფაბიან ერნსტი შეცვალა და საყრდენ ნახევარმცველად გაისარჯა.

ილია ნათოჯაგვილი

თბილისის „დინამომ“ საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადების პირველი ანთალიური შეკრება უკვე მოილია და დღეიდან ახალს იწყებს — „დინამო“ ძველი მარშრუტით, თბილისი-ბათუმი-ტრაპიზონი-ანთალია, გუშინ გაემგზავრა. თბილისელთა თავკაც **დუშან უპრინს**, როგორც მოსალოდნელი იყო, შემადგენლობა არ შეუცვლია და ამჯერადაც ისინი იახლა, რომლებიც ანთალიიდან ორიოდ დღის წინ ჩამოიყვანა. პირველი შეკრების შემდეგ მწვრთნელმა შეგირდები დაასვენა, შინ დაბრუნებულები დატვირთვებს მოარიდა, თავად კი დიღმის ბაზაზე მუშაობდა. რა იყო პირველი შეკრებისას, გამოვიდა თუ არა ყველაფერი ისე, როგორც უპრინმა დაგეგმა, რას ველოდოთ ანთალიაში მეორე შეკრებიდან და ჩემპიონატის მეორე წრეში — „დინამოს“ მწვრთნელს ანთალიაში ხელმეორედ ნასვლამდე სწორედ ამ კითხვებით მივმართეთ...



მურაზ დოლენჯაშვილის ფოტო

უპრინი ანთალიიდან ანთალიაში დინამოს ვარსკვლავური ოცნება

— ანთალიაში პირველი შეკრებით კმაყოფილი ხართ? — ყოველ შემთხვევაში, დაგეგმილი რაც გეკონდა, ყველაფერი გამოვიდა. სრულფასოვანი სამი მატჩი ჩავატარეთ, ერთხელაც ორჯერადი ვარჯიშის ნაცვლად თურქეთის „დემირსფორთან“ დილით და საღამოს მოვსინჯეთ ჩვენი შესაძლებლობები. „დემირსფორთან“ მსურდა, ყველა ფეხბურთელს ჰქონოდა თავის გამოჩენის საშუალება, მათ შორის, „დინამო 2“-დან დამატებულთაც. პრობლემა კი ის იყო, რომ ვერ ავცდით ტრავმებს — ზელიჩს, მერებაშვილს, ოდიკაძეს, ნერვაძეს, თამაშს ვინ ჩივის, ხეირიანად ვარჯიშის საშუალება არ მისცემიათ. — მათი ამბავი ახლა როგორაა? — მერებაშვილი, ოდიკაძე და ნერვაძე ინდივიდუალურად ვარჯიშს თბილისში შეუდგნენ, ხოლო ზელიჩი ანთალიიდან გერმანიაში გაემგზავრა და შეკრებაზე შემოგვიერთდება. თავიდან სრულ დატვირთვებს ის მოერიდება, მაგრამ ბოლოსკენ ალბათ ეს პრობლემაც მოგვარდება.

— მეორე ანთალიურ შეკრებაზე გუნდში რაიმე ცვლილება იქნება? — გუნდი, ფაქტობრივად, უკვე დაკომპლექტებულია და არც არის აუცილებლობა, ახალი ფეხბურთელები დავიმატოთ. „დინამოში“ ახლა ვარსკვლავები არ თამაშობენ, მაგრამ ცვლილებით, შეექმნათ ვარსკვლავური გუნდი, რომელიც ნელ-ნელა უკეთ და უკეთ ითამაშებს, უკეთესი შედეგები ექნება და მომავალში ფეხბურთელებიც ვარსკვლავები გახდებიან. — ვარსკვლავური გუნდის შექმნაზე ლაპარაკობთ და, ამ განხილვაზე ესეც უნდა გკითხოთ: მარშან ზაფხულს „დინამომ“ ვენის „რაპიდთან“ საშინელი ანგარიშით წააგო. მესმის, რომ ის ამბავი ცუდი გასახსენებელია, მაგრამ მაინც... — იცით, „რაპიდთან“ ჩემი გუნდის მაინდელი შეხვედრები დუშან უპრინის კარიერაში ყველაზე ცუდად მოსაგონარი მატჩებია. ეს ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, იმედი მაქვს, რომ მომავალი სეზონისთვის „დინამო“ ევროპაში გაცილებით კონკურენტუნარიანი გუნდი იქნება, ვიდრე აქამდე. დუშან უპრინს თავისი გუნდის იმედი აქვს. — კეთილი. ანთალიაში მეორე შეკრებისას რა გეგმები გაქვთ? — განსხვავებული, ვიდრე პირველ შეკრებაზე. ამჯერად აქცენტს ტაქტიკურ მომზადებაზე და სათამაშო რეოლუმს შორის კავშირების აღდგენა-დახვეწაზე გავაკეთებთ. იცით, რომ „დინამომ“ ორი განათხოვრებული ფეხბურთელი დაიმატა — შოთა გრიგალაშვილი და გიორგი ნერვაძე, გვყავს ახალგაზრდებიც და უნდა ვეცადოთ, რომ ისინი ჩვენი გუნდისთვის მაქსიმალურად სასარგებლონი იყვნენ. ანთალიაში პირველი შეკრებისას ჩვენ უფრო მეტად ფიზიკური კონდიციების აღდგენა-გაუმჯობესებაზე ვმუშაობდით, ახლა კი სხვა ეტაპი იწყება. — ტესტ-მატჩებსაც ჩაატარებთ... — ცხადია. შევხვდებით ჩეხურ „ბანიკს“, პოლონურ „არკას“ და უკრაინულ „ნეფტანისკას“ და „კარპატის“. ეს მატჩებიც ისეთივე სასარგებლო იქნება ჩვენთვის, რომლებიც აქამდე იყო.

კობა ინასარიძე

დინამომ დიღობში შეისვენა

თბილისის „დინამო“ ანთალიაში მეორე შეკრებაზე გუშინ წავიდა. თბილისელები ბათუმიში გაჩერდნენ, ამ დილით კი ტრაპიზონს მიაშურეს, იქიდან ანთალიაში ჩავლენ და 60 კილომეტრით მოშორებულ დაბა სიდეს სპორტკომპლექს „ბლეუ ვოტერსში“ დაბინავდებიან. სხვათა შორის, თბილისელები შარშანდელი შეკრებისასაც სწორედ ამ კომპლექსში ცხოვრობდნენ. „დინამომ“ ამჯერადაც ორი კვირით წავიდა და სხვადასხვა მოედნებზე ოთხ საწვრთნელ მატჩს ჩაატარებს — ჩეხური „ბანიკი“, პოლონური „არკა“, უკრაინული „ნეფტანისკი“ და „კარპატი“ იქნებიან ჩვენების მეტოქეები.

ანთალიაში გუნდს შეუერთდება ნედ ზელიჩი, ვინც პირველი შეკრებისას დაშავდა და იქიდან პირდაპირ გერმანიაში გაფრინდა. „დინამოს“ შემადგენლობაში სიახლე არაფერია, დუშან უპრინმა ამ თურქულ შეკრებაზეც ისინი წაიყვანა, რომლებიც უკვე ჰყავდა.

ლუბა თალაგვაძე

ჰიუზი სიზანიშვილს აქვებს. მამრამ არ ათამაშებს

ინგლისური „ბლექბერნის“ მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე კი გააგრძელა, მაგრამ გადადებულ მატჩში „ასტონ ვილასთან“ (1:1) ისევ არ უთამაშია. არადა, მოედანზე შესვლასთან ძალიან ახლოს იყო — 31-ე წუთზე მოედნის კედელთან მდგარ და სათამაშო შეზღუდვებზე ზურაბს მწვრთნელი რჩევა-დარიგებებს აძლევდა.

ვერ გეტყვით, ვინ უნდა შეეცვალა „ხიზანას“, მაგრამ ჰიუზმა თამაშში მისი ჩართვა უეცრად გადაიფიქრა და ისევ სკამზე დასვა. სხვათა შორის, ჰიუზს ძალიან გაუხარდა, რომ ხიზანიშვილმა „ბლექბერნთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა და ეს არც პრესისთვის დაუმალავს... „ზურას დონის მოთამაშეები რომ გვყავს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. იგი ფეხბურთელისთვის საუკეთესო ასაკში და ჩინებულ ფორმაშია. მას არაერთხელ უკაპიტნია ეროვნულ ნაკრებისთვის და ესეც მის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. მიხარია, რომ ქართველი მომდევნო წლების განმავლობაში „როკერსში“ იქნება“ — უთხრა ჰიუზმა ბლექბერნელთა ოფიციალურ ვებგვერდს.

მიხეილ შოგოლიანი

იმერს ფიფია დაუბრუნდა

თურქულ შეკრებაზე მყოფ „ხესტაფონში“ მატებაა — იმერლებს ახალი ფეხბურთელი არ შეუძენიათ, თავიანთი თავდამსხმელი გივი ფიფია დაუბრუნდა.

ფიფია გასინჯვაზე დნებროპეტროვსკის „დინამოში“ იყო მიწვეული. თუმც, ეტყობა, ოლეგ პროტასოვს თავი ვერ მოაწონა და ისევ იმერულ კლუბში გააგრძელებს თამაშს.

და ერთიც: ბელეკში „ხესტაფონი“ „ბელეკის თასზე“ რომ ითამაშებს, აქამდეც ვწერდით. თუმც ბოლო დღეებში მონაწილეები შეიცვალნენ და იმერლებს სხვა გუნდებთან მოუწევთ დაპირისპირება.

A ჯგუფში „ხესტაფონთან“ ერთად მოხვდნენ ტაჯიკური „რეგარ-ტა-დაზი“, რუმინულ „ჩანლაული“ და კორეული „უეჟუ“.

B ჯგუფში ითამაშებენ რეგავს დომუაშვილის, ლაშა ნოზაძისა და ლევან მელქაძის ყარაგანდის „შახტიორი“, უნგრული „პონვედი“, რუსული „ალანია“ და რუმინული „ფარული“.

„ხესტაფონი“ პირველ მატჩს 1 თებერვალს ტაჯიკებთან გამართავს, 3-ში რუმინელებთან, 5-ში კორეელებთან.

ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები 8 თებერვალს ფინალს ითამაშებენ, მეორეადგილოსნები კი 7 თებერვალს მესამე ადგილისთვის შეხვდებიან ერთმანეთს.

მიხეილ შოგოლიანი



სურამ დოლოვაძისგან მიღებული ფოტო

ლოკომოტივმა აპოქალიფი ნააგო

ანთალიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა“ ტესტ-მატჩი გამართა გერმანიის ქვედალიგულ „ემდენთან“ და 2:4 წააგო. პირველი ტაიმი ჩვენებმა 0:1 დათმეს, შემდეგ გერმანელები ორი ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ გიორგი კვახაძის (პენალტი) და ირაკლი ბახტაძის გოლებით ანგარიში 2:2 გახდა და ჩვენებმა ბოლოს გაუშვეს ორი ბურთი.

„ლოკომოტივმა“ ასეთი სასტარტო შემადგენლობით ითამაშა: *მ. ალაიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ქუხილაძე, გულორდავა, ქუცურუა, სამხარაძე, ბუღაიაშვილი, დ. ჩაგელიშვილი, ალავერდიაშვილი.*

მომდევნო მატჩს თბილისელები ხვალ რუმინულ „სპორტულთან“ გამართავენ.

ვიტ ჯორჯია სიმურხის მოინალა

თბილისის „ვიტ ჯორჯია“ აგრძელებს მზადებას საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრისთვის.

ვეტერინარებმა მეორე საკონტროლო მატჩი გამართეს და მეორედ იმარჯვეს — „ვიტ ჯორჯიამ“ ამჯერად თბილისში სტუმრად მყოფ აზერბაიჯანული „სიმურგი“ დაამარცხა (3:1).

ნესტორ მუმლაძემ ამ მატჩშიც ორი შემადგენლობით ითამაშა გუნდი — პირველი ტაიმი ძირითადი თერთმეტეულით დაიწყო და ვიტელთა პირველივე ლამაზი შეტევა ირაკლი კლიმაშვილმა გოლად აქცია.

ტაიმი „ვიტ ჯორჯიას“ სრული უპირატესობით ჩაიარა, თუმც მეტის გატანა ვერ მოახერხეს.

მეორე ნახევარში მუმლაძემ მთელი შემადგენლობა შეცვალა, მაგრამ მასპინძელთა თამაშს ეს არ დასტყობია. ერთია, ახალგაზრდა ვიტელებს კონტრშეტევა გაეპარათ და „სიმურგმა“ ანგარიში გაათანაბრა.

გამსვენებელი გოლის შემდეგ ვეტერინარებმა ორჯერ აიძულეს მეტოქე, კარიდან ბურთი გამოეტანათ. 74-ე წუთზე გიორგი კვალინიძემ 30 მეტრიდან უძლიერესად გაისროლა და ულამაზესი გოლი გაიტანა — 2:1.

ათიოდე წუთში „სიმურგის“ ფეხბურთელებმა საჯარიმოში ჯაბა ლიპარტია წააქციეს. მანვე საჩხერის „ჩიხურასთან“ წინა საკონტროლო მატჩში (2:1) პენალტი ვერ

გამოიყენა, ამჯერად კი უნაკლოდ დაარტყა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

ვიტ ჯორჯია: ბელაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომია, ვაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაშვილი, კლიმაშვილი, გ. მელქაძე, სახოკია. შეცვლაზე შევიდნენ: ლურბელი-იშვილი, თ. ღონღაძე, ადამაძე, კასრაძე, გურული, ინჯგია, მაისაშვილი, კვალინიძე, ლიპარტია, მერიაშვილი, მ. ცხადაძე.

„ვიტ ჯორჯია“ 2 თებერვალს კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს გამართავს თბილისის „სპარტაკთან“, მეორე დღეს კი თურქეთში გაემგზავრება.

მიხეილ შოგოლიანი

მესხეთი უპიღეულს ხელავს

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ახალციხის „მესხეთმა“ სეზონი კარგად დაიწყო, მერე კი ნელ-ნელა ქვევით დაეშვა და ახლა ცხრილის შუაშია — ნუ, ეს, ზოგადად, დებიუტანტების ჩვევაა, მით უმეტეს, რომ მესხებს სხვებისთვის შესაშური შემადგენლობა არ ჰყოლიათ. ახლა კი, მით უმეტეს, კობა თედიაშვილის გუნდიდან წამყვანი ფეხბურთელები წავიდნენ.

„გიგა ჟვანიამ, ალექო კაიდარაშვილმა, გიორგი თურმანიძემ, ზურაბ ძამსაშვილმა, მალხაზ ღონღაძემ და ზვიად ჩხეტიანმა დაგვტოვეს. ნამატზე კი ჯერ რა გითხრათ, ზურაბ მუშუკუდიანი და „ბორჯომის“ ნახევარმცველი კობა ხანიშვილი მოვიყვანეთ. რა თქმა უნდა, ამაზე არ გავჩერდებით, ჯერ 12-13 ფეხბურთელი მყავს“ — გვითხრა თედიაშვილმა.

„მესხეთი“ ახალციხეში ვარჯიშობს და 1 თებერვ-

ლიდან ბორჯომში გადავა შეკრებაზე, სადაც საკონტროლო მატჩებსაც გამართავს.

„გვიან მოგვიწია ვარჯიშების დაწყებამ, თუმც დრო მაინც გვაქვს და ნახავთ, მეორე წრეში „მესხეთი“ უკეთესი გუნდი იქნება. მიზანი შვიდეულში შესვლაა“.

და ფინანსური მდგომარეობა? ამდენი ფეხბურთელის წასვლა დალხენილობაზე არ უნდა მიუთითებდეს, მაგრამ თედიაშვილი ამბობს, დაფინანსების მხრივ არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ამ ბიჭებმა უკეთეს გუნდში გადასვლა მოინდომეს.

„შესაძლო ახალწვეულებთან მოლაპარაკებულები ვართ, ახლა მათი კლუბების ხელმძღვანელებსაც უნდა შევეუთანხმდეთ. 1 თებერვლიდან „მესხეთის“ შემადგენლობა შესაძენვეად გაძლიერდება“!

ილია ნანოგაფილი

ბათუმი დინამოს პასუხს ელის

„ბათუმს“ ქალაქის მერი რობერტ ჩხაიძე შეხვდა და დახმარებას დაჰპირდა.

ზღვისპირელებს პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში არასახარბიელო ადგილი უჭირავთ, ბოლო საფეხურზე არიან 4 ქულით.

მიუხედავად ამისა, ბათუმელთა მწვერთელი ავთანდილ კუნჭულია იმედს არ კარგავს...

„რამდენიმე დღეში გადაწყდება თბილისის „დინამოდან“ ფეხბურთელთა ნათხოვრობის საკითხი. თბილისელები მეორე შეკრებაზე წავიდნენ ანთალიაში და მწვერთელმა დუშან უპირინმა უნდა გადაწყვიტოს, რომელ ფეხბურთელებს განათხოვრებს. ალბათ, ხუთი დინამოელი ითამაშებს მეორე წრეში ჩვენთან. ჩვენ უმაღლესიდან დაქვე-

თებაზე არც ვფიქრობთ. მწამს, შეგვეწესოს ძალა, ადგილი შევინარჩუნოთ“ — გვითხრა კუნჭულიამ.

ამჟამად გუნდი ფიზიკურ მომზადებაზე აკეთებს აქცენტს, სამ დღეში კი ბურთსაც გაუშინაურდება.

სხვათა შორის, ბათუმელმა ბიზნესმენმა თემურ ბაკურიძემ „ბათუმი“ ახალი ბურთებით დაასაჩუქრა.

ნუბრი ლოლაძე

ლატვია 2004 გამონათება იყო

თამაზ პირტია: დინაბურგს ჩემი და კალაქის მემობარბი მხმარება

უკვე გვენერა, ლატვიური პრესის ცნობით, იქაური „დინაბურგის“ აკადემია კახა კალაქის უყიდია და მთლიანად კლუბის ყიდვასაც აპირებსო.

ლატვიელებმა ისიც დაწერეს, „დინაბურგში“ 12 ქართველი ფეხბურთელი ისინჯებაო.

მართლაც, უცნაურია ხომ? და გადამომწმებას წინ რაღა ედგა — „დინაბურგს“ ხომ ჩვენიანი თამაზ პირტია წვრთნის, რომელმაც რუსთავის „გორდადან“ ნასვლის შემდეგ კარგა ხანი ლატვიის ჩემპიონატში გაატარა...



ჩემპიონატის ლიდერებში შეიძლება გაერთო?

— ახლა ფინანსური საკითხები წყდება, სასიკეთოდ მიდის საქმე ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ძლიერ ლეგიონერებს მოვიყვანთ. ძირითადი აქცენტი ლატვიაში სწორედ უცხოელ ფეხბურთელებზეა, თორემ ყველა ლატვიელი ერთმანეთს ჰგავს, ერთი კლასისა და გაქანებისა არიან.

— 2004 წელს ლატვიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და მას შემდეგ ჩავარდა აქვს, რატომ?

— ეგ გამონათება იყო. მერე ბევრ ფეხბურთელს მოტივაცია აღარ შერჩა, ბევრმაც თავი დაანება თამაშს.

— 6 თებერვალს საქართველოს ნაკრები ლატვიას მასპინძლობს. დიდი ხანია, ლატვიაში ხარ, მაგრამ ქართული ფეხბურთის ამბებიც გეცოდინება. როგორ შეაფასებდი ვინდ სანაკრებო და ვინდ ჩემპიონატის დონეს?

— სიმართლე გითხრათ, საქართველოს ჩემპიონატის დონეზე მხოლოდ მონაყოლი ვიცი. აქ გაცილებით კარგი მინდვრება და შედარებით წვლამართული გუნდებიც არიან, მაგრამ ფეხბურთის ნიჭით ლატვიელები ქართველებთან ახლოს ვერ მოვლენ. აქაურები უფრო ჯაჯგურში და სირბილში გამოირჩევიან, ჩვენებს კი იმპროვიზაცია აქვთ.

— თუმც, როგორც ვიცით, „სკონტოს“ ერთ-ერთი ფეხბურთელი, ცაუნია, ლონდონის „ჩელსისში“ ყოფილა გასინჯვაზე.

— არა, სტაჟირებაზეა. ეს უბრალოდ, რეკლამის ამბავია, თორემ ცაუნია ნაღდად არ არის იმ კლასის, „ჩელსისში“ გადასვლის შანსი რომ ჰქონდეს.

— ქართველ ლეგიონერებს აფასებენ ლატვიაში?

— რა თქმა უნდა. 1997 წლიდან გამოვჩნდით ქართველები ლატვიაში და თითო-ორილა გამოჩაქვსის გარდა. ყველანი თავისი გუნდის ლიდერები იყვნენ.

— დინაბურგს რამდენად სეროიზული ვეგმები აქვს. ლატვიის

ილია ნანოგაფილი

ამას წინათ, „ლივერპული“ ინგლისის ასოციაციის თასზე „ლუთონს“ რომ შეხვდა, „ენფილდზე“ იქაურ ფანებთან ერთად „ლივერპულის“ ქართველი გულშემატკივარი გოგა თანდარაშვილიც იჯდა. სარბიელელების მეგობარმა იმავე ღამეს მოგვწერა იმ თამაშის მცირე მიმოხილვა. პირობა კი ასეთი გვქონდა, რომ თბილისში დაბრუნების მერე ცნობილი შოუმენი ინგლისურ საფეხბურთო შთაბეჭდილებებს ვრცლად გაგვიზიარებდა...

ნახეთ ლივერპული, სასწაული, სიბიჟე, ნაღდი ცხოვრება და პეტიც რა გინდათ!



„ლივერპულს“ ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ. მამაჩემი და მისი მეგობრები არიან ამ გუნდის ქომაგები და ალბათ მათგან გადამეღო „ლივერპულელობა“.

მერე ინგლისური გუნდები რომ მოკვეთეს ევროთასებიდან და „ლივერპული“ ინგლისშიც ვეღარ იყო საუკეთესო გუნდი (ეს დროა, ზოგიერთებმა რომ გადაგვისწერეს თასების რაოდენობით), მაშინაც არ შემეწყვეტია მისი ქომაგობა. ოღონდ, ნაღდი „ინგლისელი“ ვერ ვარ — ნაღდი ინგლისელი მხოლოდ ერთ გუნდს ქომაგობს, მე კი სხვა ინგლისურ გუნდებსაც ვგულშემატკივრობ — თუ, რა თქმა უნდა, „ლივერპულს“ არ ხვდებიან.


ჰოდა, ამდენი წლის მერე ოცნება რომ ამიხდა და „ლივერპულის“ თამაშზე მოხვედრის შანსი მომეცა, როგორ არ წავიდოდი?!



ლონდონში ჩაფრინდი. მეგობარი დამხვდა და მეტროთი წავედით სახლამდე. ვზივართ ვაგონში — „ლივერპულის“ კეპი მახურავს, „ლივერპულისავე“ მაისურა ქურთუკის შიგნით მაკვია და „ლივერპულის“ ჩანთა მაქვს ჩახუტებული. ვაგონში ჯერ სიხალვათეა, მერე კი ნელ-ნელა ივსება ხალხით და რას ვამჩნევ — უძრავლესობას „არსენალის“ ფორმა აცვია. მეგობარს ვკითხე და, „არსენალის“ სტადიონის სიახლოვეს მეტროს ორი სადგურია, ახლა სწორედ იმ სადგურებს გავდივართ და იქ ვინც ცხოვრობს, რა თქმა უნდა, „არსენალის“ ფანები არიანო.

„არსენალის“ სტადიონის სიახლოვეს რომ ცხოვრობ და ამ გუნდის ფანი ხარ, ამაში გასაკვირი რა არის, მაგრამ დიდიან-პატარაიანად „არსენალის“ სიმბოლიკიანი ტანისამოსით რომ დადიან, ძალიან მესიამოვნა. ფანი ეგეთი უნდა იყოს!

ვილაკებმა ცოტა გაკვირვებით კი შემომხედეს, ლივერპულურად რომ ვიყავი გამოწყობილი, მაგრამ აგრესია არავისგან მიგრძენია. მეგობარმა მითხრა, ლონდონელი ფანები საერთოდ არ არიან აგრესიულები. ისე, არც სხვა გუნდების ფანებისგან შემიმჩნევია აგრესია. ტყუილი მგონია, ინგლისელებზე ლეგენდებს რომ ჰყვებიან, საშინელებებს აკეთებენო...




მეორე დღეს ლონდონის დასათვალიერებლად წავედი. ბეიკერ სტრიტი, ბიგ ბენი, ვესტმინსტერი... რა თქმა უნდა, „უემბლიც“.

დავაკვირდი — ყველა სადგურზე ჩვეულებრივი, არცთუ ფართო ამოსასვლელებია, „უემბლის“ სადგურზე კი ძალიან ფართო ამ-

ოსასვლელებია. ერთი სიტყვით, ისეა გაკეთებული, თამაშის დღეს ხალხს პრობლემა რომ არ შეექმნას და ჰყელუა არ იყოს.

თუთონ სტადიონზე უამრავი ხალხი იყო, ჩემსავით დასათვალიერებლად მისული. ინგლისის ის ქვეყანაა, სადაც სტადიონიც ღირსშესანიშნაობაა და ხალხი იქ ისე დადის, თითქოს მუზეუმი იყოს.




„უემბლიდან“ გამოსული პირდაპირ პაბში შევედი. „სკაი სპორტის“ პაბი იყო. ორი დარბაზი ჰქონდა. პირველში რატომღაც „მანჩესტერის“ ფანები ისხდნენ. ერთმანეთს გადავხედეთ და მეორე დარბაზში გავედი. ლუდი ავიღე. იქ კი ისხდნენ „ჩემპიანები“ — „ბლექბერნის“ ფანები და „ბოლტონ“ — „ბლექბერნს“ უყურებდნენ.

75-ე წუთია და გვაჩვენებენ, როგორ ემზადება შემოსასვლელად ზურაბ ხიზანიშვილი. ვიღრიალე, ხიზანა-მეთქი. „ბლექბერნის“ ფანები გაცოდნენ — „ლივერპულის“ კეპი მახურავს და „ბლექბერნს“ ვქომაგობ. თან ხიზანა ჯერ არ შესულა მოედანზე და უკვე ვყვირი. აშკარად ეტყობა, ფიქრობენ, ეს რომ შევა და რამე კარგი გააკეთოს, მერე ნახე, რამდენს იღრიალებსო.

ხიზანამ გამიმართლა — არც ერთი უზუ-

სტო პასი არ გაუკეთებია და ჯიჯივლად ქომაგობის საბაბი მომცა. „ბლექბერნის“ ფანებმა კი, რომ გაიგეს ქართველი ვიყავი, გიყვად აღარ მთვლიდნენ.

ისე, მაგარი პაბი იყო. კელეპზე ხომ მარსურები და ფოტოები ეკიდა, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას ბურთი ედოთ, რომელიც „უემბლიზე“ 1924 წელს გაგორებულა.



უკვე ლივერპულში ვარ. ხვალ თასის თამაშია, „ლუთონს“ ვხვდებით. დღეს კი ქალაქის დათვალიერება მინდა და სასტუმროს ადმინისტრატორს რამდენიმე ადგილს ვუსახელებ და ვკითხვები, საით უნდა წავიდე, ამ ადგილებში რომ მოვხვედე-მეთქი.


დაუზარელად მპასუხობს.

„ენფილდი“ საითაა?

აქ კი ადმინისტრატორი იმანჭება: რად გინდათ „ენფილდი“?!

ვხვდები, რომ „ვეერტონის“ ფანია...

„ლივერპულში“ კიდევ ერთი გუნდია — „ტრანმერი“. იმის სტადიონის ადგილსამყოფელს ჩემი ადმინისტრატორი ხალისით მეუბნება, „ენფილდზე“ კი ვერაფერი ვათქმევინე...



სასტუმროს ფოიეში ხალხი ფეხბურთის



ჩემი კარაგერი და სტივენ ჯერარდი



უკურებს: „ქრიუ“ — „ლიდსია“. უმრავლესობა „ქრიუს“ მხარესაა. ალბათ იმიტომ, რომ ქრიუ ახლოსაა ლივერპულთან. ვის არ ნახავთ: ერთი ძალიან მოხუცი კაცი, სკამამდე ძლივს რომ მიიყვანეს, 5 პინტი ლუდი კი დალია, ისე ქომაგობს, ახალგაზრდებს შემურდვებით. თამაში ჯახა-ჯუხია, მაგრამ ემოციაა ისეთი, თვალს ვერ აცილებ ტელევიზორს და განიცდი. თამაშის მერე კი წასვლას არავინ ჩქარობს, სხედან და არჩევენ. და ეს მესამე ლიგის თამაშზე ხდება!!!

დღითი „ენფილდზე“ წავედი, ვიფიქრე, დაბალივლეთან თამაში კი არის, მაგრამ რა იცი, ბილეთს დროულად ავიღებ-მეთქი. „ენფილდზე“ ჭიშკრებსაც კი თავისი სახელები აქვთ. ბობ პეისლის ჭიშკარში შევიღვივარ, იქვე ბილ შენკლის ძეგლი დგას და იქ იყიდება „კობის“ ბილეთები. „კობა“ კი ყველაზე თავზეხელაღებული ქომაგების ტრიბუნაა. გამყიდველი ვინაობას და მისამართს მეკითხება. ყველა ბილეთი სახელობითია და ამით სპეკულაციას ებრძვიან. თუმცა მთლად ეფექტური ბრძოლა ვერ გამოდის, რადგან პეისლის ჭიშკართანვე სპეკულანტები მზვდებიან და tickets, tickets მეუბნებიან. ამდენი სახელობითი ბილეთის აღებას როგორ ახერხებენ, ვერ გავიგე. ალბათ, უბნებიან ვიღაც ახლობლები მოჰყავთ და იმით სახელზე იღებენ. თამაშის წინ კი სტადიონზე რომ შედიხარ, არავინ ამოწმებს, მართლა შენი სახელი აწერია ბილეთს თუ არა.

ბილეთი ავიღე და სტადიონის გადაღმა „ალბერტს პაბში“ ჩამოვეყევი. ბარმენი, 70 წლის კაცი ჯეიმი კარაგერის მაისურით, ენაწყლიანი გამოდგა და უცხოელობა რომ შემატო, სადაურობა მეკითხა.

ქართველი ვარ, ვინმე გაგივია-მეთქი, ვკითხე. ამკარად შევეციდი, არ უნდა მეკითხა. საშინლად ეწყინა. გიორგი ქინქლაძე როგორ არ ვიციო. მერე რა, რომ „ლივერპულში“ არ თამაშობდაო...

შოთა არველაძე და ზურა ხიზანიშვილიც ვახსენეთ, მაგრამ ქინქლაძე იმ ბარმენისთვის მაინც გამორჩეული ფეხბურთელი იყო.

ნებისმიერი მატჩისას კლუბი სუვენირებს ამზადებს. იმ დღეს „ენფილდზე“ „ლივერპული“ — „ლუთონის“ მატჩის შარფი ვიყიდე და კიდევ, ჯეიმი კარაგერის მაისურიანი სამკერდე ნიშანი. იმ დღეს კარაგერის მე-500 ლივერპულური მატჩი იყო და სტივენ ჯერარდმა კაპიტნობა დაუთმო. მატჩის პროგრამა კი კარგა სქელი წიგნის ზომისა იყო. ყველანაირ სუვენირს ხალხი ესეოდა და წა-

რმოიღვინეთ, დაბალივლელ „ლუთონთან“ მატჩისას ასეთი აჟიოტაჟი რომ არის, სხვა მატჩებზე რა იქნება...

ამაყი ვარ, ლივერპულის“ მუზეუმში ხუთივე ჩემპიონთა თასი ვნახე...

სასტუმროდან, ჩემი ჭკუით, ადრე გამოვედი — თამაშის დაწყებამდე 2 საათით ადრე. კეითი (ბრიტანული ტაქსით) „ენფილდამდე“ 10 წუთი უნდოდა და, ცოტა ხნით პაბში ჩამოვედებო-მეთქი.

აღმოჩნდა, რომ ძალიან გვიან გამოვესულვარ. ისეთი საცობი დამხვდა, თავად ტაქსისტმა მიჩნია, ფეხით წასვლა გიჯობსო. ხალხი, ყველანი „ლივერპულის“ ამუნციით, სტადიონისკენ მიდის. სამუშაო დღეა და სამსახურებიდან გამოსული ხალხი გზაშივე ილუკმება, დრო რომ არ დაკარგონ. „ალბერტს პაბში“ შესვლას კი აზრი აღარ აქვს, 300 კაცი მაინც დგას რიგში.

ქართველი გულშემატკივრისთვის სრულიად წარმოუდგენელი ამბავი: „ენფილდის“ ყველა შესასვლელი ღიაა და ტრიბუნაზე მოსახვედრად ერთ წუთზე მეტი საჭირო არ არის!



ბობ პეისლის ჭიშკარი „ენფილდზე“

თამაშის მსვლელობისას მივხვდი: შეცდომა დამიშვია — A სექტორში უნდა ამელო ბილეთი, მე კი B სექტორში ვზივარ. B სექტორიც „კობებისა“, მაგრამ A-ში, როგორ ვთქვა, „კობების“ „კობები“ სხედან. უფრო სწორად, დგანან. ერთი წამით არ დამსხდარან.

ჩემთან, B სექტორში კი ხანდახან ვახერხებთ დაჯდომას. ერთი დაკვირვება: ვერ გაიგებ — ძმაო, დაჯექი რა, გვაყურებინე და მისთანები.

ამ თავზეხელაღებულ გულშემატკივრთა სექტორშიც კი საოცარი წესრიგია. აი, რაღაც მოხდა და ყველანი წამოვხტით. მერე პირველრიგელები ჯდებიან და ყოველი მომდევნო რიგიც უმაღლ მიჰყვება.

მთელი სტადიონი მღერის. „კობები“ იწყებენ და ყველა სექტორი ყვება. იმ დღის გამირი ჯეიმი კარაგერია. სიმღერებიც ნაირგვარი აქვთ.

კარაგერზე „ბითლზის“ Yellow Submarine-ის ჰანგზე მღერიან: We are all Jamie Carragher, Jamie Carragher, Jamie Carragher...

მე მაინცდამაინც არ მომწონს, მაგრამ იქაურები რაფა ბენიტესზე გიჟდებიან და ასე უმღერიან:

რაფა, რაფა, რაფა ბენიტეს, რაფა ბენიტეს, რაფა ბენიტეს...

„ლუთონის“ ფანიც გაეხვდი! წარმოიდგინეთ, ხალხი სამსახურის მერე მატარებელში ჯდება, ლივერპულში ჩამოდის და ჯიჯიანად ქომაგობს თავის გუნდს. მერე რა, რომ 0:5 აგებენ. საკმარისია, ერთი ხიერიანი პასი გააკეთოს რომელიმე ფეხბურთელმა და ლუთონელთა ტრიბუნაზე ყიყინა ტყდება. წამით არ ჩერდებიან, ტაშს უკრავენ, თამაშის მერე კი თავის ფეხბურთელებს ამხნევენ, მერე რა, რომ წააგეთ, ჯიჯით ხომ ითამაშეთო... მერე მატარებელში სხდებიან და ლუთონში ბრუნდებიან.

აი, ეს არის, ძმაო, ნაღდი ქომაგობა!

თამაშის მერე ისევ „ალბერტს პაბში“ შევიღვივარ. ტევა ისევ არ არის. ყველანი თამაშს არჩევენ. გარჩევა ასეთია: აი, ბაბელმა ამ ეპიზოდში პასი რომ ვერ გააკეთა... მეორე პასუხობს: ბაბელმა ეგეთი პასი ბოლოს ამა და ამ თამაშის ამა და ამ ეპიზოდში გააკეთაო. ყველანაირი წვრილმანი ახსოვო.

პაბში ლუთონელები შემოდან, ლუდს ითხოვენ. პაბი კი „კობებით“ არის საყსე. არ იფიქროთ, რომ აყალმაყალი შეიძლება მოხდეს ან ვინმემ ნიშნის მოგებით გადახედოს დამარცხებულთა ფანებს.

ცოცხა გამხელილი სჯობს, „ლივერპულის“ მეორე გოლი, მეორე ტაიმის დასაწყისში რომ გავიდა, ვერ ვნახე — ლუდის რიგში ვიდექი. სვი და უყურე თამაშს, ოლონდ სიგარეტის მოწვევა ტრიბუნაზე აკრძალულია.

ლივერპულში წასვლამდე სარბიელ სლავა გასპაროვს გავეხუმრე, „ენფილდზე“ ვინმე თუ გადახტა, გამხდარი, ქართველი ბიჭი, იცოდე, მე ვიქნები-მეთქი.

ბედი არ ვინდა?! ვზივარ ტრიბუნაზე და უცებ სტრიკერი ჩახტა. სტიუარდებმა სასწრაფოდ გაკოჭეს და გაიყვანეს, მე კი ის ხუმრობა გამახსენდა, ვაი თუ, სლავას მართლა მე ვეგონე-მეთქი.

თუ ვინმეს ფეხბურთი განსაკუთრებით ვიყვართ, ყველას გირჩევთ, კაპი-კაპი შეგროვეთ ფული, წადით ინგლისში და იქაური შთაბეჭდილება არასოდეს დაგაკვიწყდებათ. გულშემატკივრისთვის იქაური საფეხბურთო გარემო სასწაულია, სიგიჟეა, ნაღდი ცხოვრება! მეტიც რა ვინდა...

ბოისა არისს გაუზინაურდა

ბალტიის ლიგის ოლსტარგანაღებულმა გიორგი ცინცაძემ გასულ კვირაში აფრები დაუშვა. თუმცა ეს როგორც ცინცაძეზე, ასევე მთელ მის გუნდზე ითქმის. ესტონურმა „როკმა“ გასულ შვიდდღეულში მხოლოდ ერთი თამაში ჩაატარა, ისიც ნაკლებად პრინციპული და თავს, ასე ვთქვათ, დასვენების საშუალება მისცა. მართალია, 8 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი ცოცხალი არ არის, მაგრამ ცინცაძემ მეტს შეგვაჩვია და მისგან ძალაუნებურად უკეთეს შედეგს ვითხოვთ. სამაგიეროდ, ვლადიმერ ბოისამ გამოიხედა — გუშინინ საბერძნეთის ჩემპიონატში მოხვეჭილი 7 ქულა მისთვის სარეკორდოა „არისში“

საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისა შუა სეზონში გადავიდა საბერძნეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „არისში“ და ცხადია, თავიდანვე დაღვინილად არ უგრძობია თავი. ის ნელ-ნელა ჯდება სალონიკელთა გუნდის სათამაშო სქემაში, რისი ნათელი დადასტურებაც გასული კვირის ორი მატჩი იყო. „არისმა“ ევროლიგაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა — თურქეთში „იფესის“ ძლევიტ ვგუფიდან გავიდა. ვლადიმერ ბოისამ 16 წუთი ითამაშა და ფარში არც უსვრია. ძირითადად დაცვაში იყო დაკავებული. აი, საბერძნეთის ჩემპიონატის გუშინინდელ მატჩში ვოვამ 25 წუთი დაჰყო მოედანზე და 7 ქულასთან ერთად 4 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მიითვალა. „არისის“ მეტოქე იყო „ოლიმპიასი“, რომლის ძლევიტაც სალონიკელებმა ცხრილში მესამე ადგილი გაიმყარეს.

ისტორიები

გიორგი ცინცაძის „როკმა“ ევროთასის ვგუფიდან გასვლა კარგა ხანა გაინაღდა და დარჩენილ ერთ ტურში თუ აუტსაიდერ „ლაპენანტას“ შინ მოუგებს, პირველ ადგილს დაიკავებს. პირველზე ახლაცაა, მაგრამ იმდენივე ქულა აქვს რუსულ „სამარსაც“, რომელიც „როკერებს“ გასულ ოთხშაბათს გაუთანაბრდა.

სამარაში ჩასულ ტალინელებს თავი არ მოუკლავთ და მასპინძლებმაც აუღელვებლად მოიგეს. ცინცაძემ თავისიანთაგან ყველაზე მეტი, 36 წუთი გაატარა მოედანზე და ხსენებულ 8 ქულას, 6 მოხსნას, 4 პასსა და 2 ჩაჭრას „დასჯერდა“.

უარაინა

მანუჩარ მარკოშვილის „ბეკიემა“ ულებ-ის თასზე გერმანიაში წაავო „არტლენდთან“, თუმცა ვგუფიდან გასვლა მანამდეც გარანტირებული ჰქონდა და ამ მარცხმა კიეველებს მხოლოდ პირ-

ველი ადგილი დააკარგვინა. მარკოშვილმა 32 წუთი ითამაშა და 12 ქულას მოუყარა თავი, რაც ძირითადად საჯარიმოს ხაზიდან შეაგროვა. მასზე მეტი, 14 ქულა, კიეველთაგან მხოლოდ პუპ ჯეტერს ჰქონდა.

გუშინწინ კი მარკოშვილს ბურთი ნაცარში ჩაუვარდა — უკრაინის ჩემპიონატში „ხნიმიკთან“ 81:67 მოგებულ მატჩში მხოლოდ 5 ქულას დასჯერდა, თუმცა დაცვაში იჩაუქა და 3 ჩაჭრა გაახერხა. კიეველებისთვის ეს იყო მიჯრით მეოთქესმეტე გამარჯვება და ისინი უკრაინის ჩემპიონატში ერთპიროვნული ლიდერები არიან.

ასპანეთი

ტიტონ ელისის „კასასოლი“ კრიზისიდან გამოდის, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ეს გაქართველებული ამერიკელის ჩაუქობის გამო არ ხდება. ელისის გუნდმა ბოლოსწინა ტურში სტუმრად მძლავრ „პამესას“ მოუგო, გუშინწინ კი „მანერსაც“ დაამარცხა და პრიმერადივიზიონში ფსკერს თავი დააღწია.

ელისმა ბოლო ტურში 30 წუთი კი ითამაშა, მაგრამ 3 ქულისა და ამდენივე პასის მეტი ვერაფერი გაახერხა.

ნაბ

შვედონელთან შელაპარაკებისა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა. „ატლანტამ“ სტუმრად „სიეტლს“ რომ მოუგო, ქართველმა ცენტრმა 14 წუთი ითამაშა და 6-6 ქულა-მოხსნას მოუყურა თავი. ეს შედეგი ფაჩულიას შარმანდელ საშუალო მონაგარზე ბევრად ცოცხალია, რისი მიზეზიც ხუთწუთში ფეხგადგმული ახალბედა ალ ჰორფორდია, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობს და ქართველს ძალიან ბევრ სათამაშო წუთს ართმევს.

ირაკლი პერტაია



ვლადიმერ ბოისამ „არისში“ ქულების კეთება დაიწყო



აწ ბოსტონელი კვიზ გარნეტი ყოფილმა თავისიანმა მინესოტელებმა თითქმის დასცეს

გბლები კბენას თაჰიდან სნაჰლოგან

25 იანვარი

სინტლი 90:99 ატლანტა

სინტლი: უილკოქსი (18), დურანტი (17) ატლანტა: ე. ჯონსონი (10), ჯ. ჯონსონი (13), მ. უილიამსი (33), სმიტი (14), ჰორფორდი (10 ქულა, 16 მოხსნა); ჩილდრესი (13), ფარულია (17 წუთი, 6 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი), ლოუ, მ. უილიამსი, ვესტი

ვაშინგტონი 104:93 მემფისი

ვაშინგტონი: ჯემისონი (24) მემფისი: მილერი (21) დეტროიტი 101:93 ორლანდო

დეტროიტი: ჰამილტონი (32), ბილფი (21) ორლანდო: თურქოლუ (23), ჰოვარდი (22) კლივლენდი 108:10 ფინიქსი

კლივლენდი: ჯემისონი (36), ჰიუზი (25) ფინიქსი: ბელი (27), ნეში (26) აოსტონი 87:86 მინესოტა

აოსტონი: პერკინსი (21), პირსი (19) მინესოტა: ტელავარი (18) ნიუ იორკი 89:81 ფილადელფია

ნიუ იორკი: კროფორდი (18) ფილადელფია: იგუდალა (24) ნიუ ორლანდი 111:92 კლიპერსი

ნიუ ორლანდი: სტილიკოვიჩი (26) კლიპერსი: მაგეტი (24) დალასი 112:105 ლიუკერსი

დალასი: ნოვიციკი (26), ჰოვარდი (26) ლიუკერსი: ბრაიანტი (40) ჩიკაგო 77:90 შარლოტი

ჩიკაგო: ნოჩიონი (25) შარლოტი: ოკაფორი (21), ვოლესი (21) იუტა 127:113 სპარაშენტი

იუტა: ბუზერი (33), კირილენკო (25) სპარაშენტი: მარტინი (32) დენვერი 100:85 ნიუ ჯერსი

დენვერი: აივერსონი (30), კლეიზა (23) ნიუ ჯერსი: ჯემისონი (19) პორტლენდი 79:89 პიუსტონი

პორტლენდი: როი (23) პიუსტონი: მაკგრედი (15) 26 იანვარი

გაიანი 98:96 ინდიანა გაიანი: ვეიდი (35), ბლუნტი (19) ინდიანა: დანლივი (25) შარლოტი 96:103 ფილადელფია

შარლოტი: რიჩარდსონი (35), ვოლესი (20) ფილადელფია: იგუდალა (33) სან ანტონიო 78:102 ნიუ ორლანდი

ლში „დალასის“ ძლევიტ გახარებულმა ლუენ ვეიდიმ გააკეთა. ვეიდი იქ იყო და ისიც ხარობდა, პატ რაილის პირხმელ სახეზე კი წლეულს პირველად გამოჩნდა რადაც ლიმილისმგვარი ლიგის ისტორიაში ერთი საუკეთესო მწვრთნელი ეცდება, თავის გუნდს რაც შეიძლება მალე დაივიწყოს ეს შავნული პერიოდი. თუმცა გაუთავებელი მარცხების სერიაში „მაიამი“ ისეთ დღეში ჩაავდო, საეჭვოა, ეს გუნდი პლეი ოფში მოხვდეს და ჭრილობები ბოლომდე მოიშუშოს.

პარასკევს კი ნბა-ს ქართული თვალმძღვერებისთვის ყველაზე საინტერესო „ატლანტა ჰოქსის“ გამარჯვება იყო სიეტლში იქაურ „სუპერსონიქსთან“. „ქორების“ ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ მწვრთნელ მაიკ კუდსონთან კამათისთვის ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და „სიეტლთან“ შეხვედრაში დაბრუნებულმა თავისი გუნდი 6 ქულით და 6 მოხსნით ასარგებლა. ესეც ვთქვათ, მისმა კონკურენტმა ალ ჰორფორდმა მოედანიდან 10 ქულა და 16 მოხსნა გამოიტანა და ამის შემხვედვარეთ რაღა გაგვიკვირდება, უდსონი ფაჩულიაზე მეტად ახალბედა ჰორფორდს რომ ანდობს „ატლანტას“ ფარის დაცვას.

„ატლანტას“ მანამდე ზედიზედ 4 თამაში წაეგო და გასვლით ტურნეზე მყოფს სულზე მიუსწრო „სიეტლისთანა“ უსუსურ გუნდთან მატჩმა. „სუპერსონიქსი“ 1970 წლიდანაა ნბა-ში და ასეთი დაბეჩავებული არასდროს ყოფილა, არც ზედიზედ 13 თამაში წაუგია ოდესმე. მასპინძელთა კალათი ზუსტი ორქულიანებით დასეტყვა ატლანტელმა მარვინ უილიამსმა, ვინაც იოლად დაჯაბნა ახალბედა ოპონენტი, სიეტლელთა მხეც და მთვარე, კვიზ დურანტი და 33 ქულის გაკეთებით სამწლიან კარიერაში ახალი სარეკორდო თამაშა მოიწინა. უილიამსმა თავი იმიტომ გამოიღო, რომ წარმოშობით სიეტლის გარეუბნიდანაა, იქ გაიზარდა, დაავაკაცდა და ახლა მთელ თავის სამშო-სამეგობროს აულო ბილეთები ამ თამაშზე. თავის პირველ სეზონში სიეტლში სტუმრობისას ის სულ პირტიტველა ახალბედა იყო და ვერავინ გააკვირვა, მეორე სეზონში სულ არ ჩაყოლია „ატ-

ლანტას“ ამ ქალაქში, ტრავმა ჰქონდა და ამიტომ, ასე რომ, ახლა მოიწადინა და აი, შედეგიც. თანაც ხმები დადის, „სუპერსონიქსი“ მომავალი სეზონიდან ოკლაჰომა-სიტიში გადადისო და ვინ იცის, მარვინ უილიამსმა უკანასკნელად ითამაშა მშობლიურ ქალაქში.

საინტერესო გამოვიდა პარასკევს „მინესოტას“ სტუმრობა ბოსტონში. მას მერე, რაც მინეაპოლისელ „მელბს“ წინამძღოლი კვიზ გარნეტი „სელტიქსში“ გაეცათა, მთლად დაეცნენ სულით და ყველას კულში მოექცნენ. ეს ერთი კვირაა, კბილები აილესეს და რამდენიმე მეტოქე დაკბინეს. ახლა „ბოსტონსაც“ იგივე დაუპირეს და ამ საქმიდან მხოლოდ იმას თუ მაიღწივს, რომ მასპინძლები ანერვიულეს და ყოფილ თავისიან გარნეტს 10 ქულა აკმარეს. „ბოსტონი“ ერთთავად ავებდა, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

კოტე ყორზია

აღმოსავლეთი			
ატლანტიკა			
ბოსტონი	34	7	82,9
ტირონტო	24	19	55,8
ნიუ ჯერსი	18	25	41,9
ფილადელფია	17	28	37,8
ნიუ იორკი	14	28	33,3
ცენტრალური			
დეტროიტი	31	13	70,5
კლივლენდი	23	19	54,8
ინდიანა	19	26	42,2
ჩიკაგო	17	25	40,5
მილუოკი	17	27	38,6
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
ორლანდი	27	18	60,0
ვაშინგტონი	23	18	56,1
ატლანტა	18	21	46,2
შარლოტი	17	27	38,6
მაიამი	9	33	21,4
დასავლეთი			
სამხრეთ-დასავლეთი			
ნიუ ორლანდი	31	12	72,1
დალასი	29	13	69,0
სან ანტონიო	28	14	66,7
ჰიუსტონი	24	19	55,8
მემფისი	13	31	29,5
ჩრდილო-დასავლეთი			
დენვერი	26	16	61,9
პორტლენდი	25	18	58,1
იუტა	25	18	58,1
სიეტლი	9	34	20,9
მინესოტა	7	35	16,7
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	31	13	70,5
ლოუიზიანა	27	14	65,9
გოლდენ სტეტი	26	18	59,1
საყრამენტო	18	24	42,9
კლიპერსი	13	27	32,5

მსოფლიო თბილისი ნახა, თბილისმა დიდი ქიუდო

60 კპ

- 1 ჯეიმს მილარი (დიდი ბრიტანეთი)
- 2 პაველ პეტრიკოვი (ჩეხეთი)
- 3 ლავრენტის ალექსანდისი (საბერძნეთი)
- 3 ალბერტ ტენოვი (ლიტვა)

ამ წონით კატეგორიაში ნაკრები განსაკუთრებული სიძლიერით ვერ გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რომ შემადგენლობაში ირიცხება სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი უშანგი კუხანაშვილი.

უშანგიმ მხოლოდ ერთი წრე დაძლია. ბელარუს მაქსიმ ჯამილაშვილთან 2 კოკათი აგებდა და შეხვედრის დამთავრებიდან ექვსი წამით ადრე იპონით მოიგო. შემდეგ ჩეხ პაველ პეტრიკოვს შეხვდა და ვაზარით დაამარცხდა. ამირან პაპინაშვილმა კი პირველივე ორთაბრძოლა დათმო სომეხ აშოტ ვარდიკიანთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ყველაზე შორს ქართველთაგან ვახტანგ ხოსიტაშვილი წავიდა. იგი ბრიტანელ ჯეიმს მილართან დამარცხდა მეოთხედფინალში იპონით. იქამდე კი გზად ორი მეტოქე ჩამოიშორა — ჯერ რუს ოლეგ ფილიპოვს სძლია, შემდეგ კი — ფრანგ დიმიტრი დრავინს. ხოსიტაშვილმა ვერც დამამშვიდებელ ორთაბრძოლაში ივარგა. მან ტომით ქართველ, საბერძნეთის წარმომადგენელ ლავრენტის ალექსანდისთან დათმო შეხვედრა.

ვერც ბეთქილ შუკეანმა მოუხერხა რამე ებრაელ გალ იეკუტიელს, არადა, თავიდან ვაზარი აულო და თითქოს უნდა მოეგო კიდევ, მაგრამ ებრაელმა ძირითადი დროის მიწურულს გაუთანაბრა და დამატებითი იუკოთი დაამარცხა.

ჩემპიონი ბრიტანელი ჯეიმს მილარი გახდა, რომელმაც ფინალში ჩეხი პაველ პეტრიკოვი დაჯაბნა.

66 კპ

- 1 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
- 2 ბენიამინ დარბელე (საფრანგეთი)
- 3 მიხაილ პულიაევი (რუსეთი)
- 3 რამილ გასიმოვი (აზერბაიჯანი)

თბილისის მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი მასატო უჩინობაძე ეწვია. იგი ამ წონით კატეგორიაში ფავორიტობდა, მაგრამ ვერცხლის წყალივით მოძრავი იაპონელი ყველასგან მოულოდნელად მეორე წრეში გერმანელ ადრიან კულიშთან დამარცხდა. კულიში კი ქართველების უმთავრესმა იმედმა, ევროპის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმა ლამის მაყურებლებში დაახეთქა, მაგრამ ილეთი შიგნიდან იყო დაწყებული და ქართველს მოგება ჩაუთვალეს. კედელაშვილს ნახევარფინალში ფრანგი სებასტიან ბერშელი გადაეყარა, რომელმაც ცოტა იფაფხურა და ორი წუთიღა რჩებოდა ძირითადი დროის დამთავრებამდე, რომ „კედელაშ“ ისიც ბეჭებზე გაშალა.

მეორე გზას ფინალისკენ ფრანგი სებასტიან დარბელე მიუყვებოდა. დარბელემ ჯერ სანდრო იაკობაშვილს მოუგო, შემდეგ პოლონელი ტომას ადამეკი იმსხვერპლა დამატებით დროში. ნახევარფინალში ფრანგი ქულებით გაუსწორდა აზერბაიჯანელ რამილ გასიმოვს და ფინალსაც უწია. ფინალში კი სამი წუთის განმავლობაში ქულა ვერ გამოსტყვეს მოჭიდდავებმა ერთმანეთს. კიდევ ერთი მისვლა და კედელაშვილმა ვაზარზე დასცა მოწინააღმდეგე. დერბელეს საქმის გამოსასწორებლად დრო აღარ რჩებოდა, თორემ აქტიურობით აქტიურობდა და ზაზა მსაჯებს გააფრთხილებინა კიდევ. საბოლოოდ შეხვედრა კედელაშვილმა მოიგო და ნ-კ-ში ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა.

სხვა ქართველთა ჭიდაობა ნაადრევად და-

სეთი ძიუდო ცოცხლად, შეიძლება სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ნახო. მსოფლიოს უპირველესმა ფალანგებმა ორი დღის განმავლობაში გადაჭედებულ სპორტის სასახლეს დაუფინყარი ემოციები აჩუქეს. ჭიდაობის გურმანებმა კი ცქერით გული იჯერეს და ნაღდი ძიუდო დააგემოვნეს. საქართველოს ნაკრებმა ამჯერადაც უხვი მოსავალი მოიმოკო. არადა, შოთა ხაბარელი ტურნირის დასაწყისში ამდენ მედალს არც გეგმავდა, იმიტომ, რომ წლებადნელი „თბილისის მსოფლიოს თასი“ განსაკუთრებული იყო. ამდენი სახელიანი და ტიტულიანი სპორტსმენი სპორტის სასახლეს დიდი ხანია, არ ღირსებია



სრულდა. უჩა ხუციშვილმა რუს მიხაილ პულიაევთან წააგო, ხოლო, დავით ასუმბანმა ბრიტანელ კოლინ უოტსთან დათმო პოზიციები.

73 კპ

- 1 ალექსანდრ სტიაშენკა (ბელარუსი)
- 2 ვოლ რაზვაზოვი (ისრაელი)
- 3 მარკო მადალონი (იტალია)
- 3 დავით კუპრაშვილი (საქართველო)

